ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 146

ქალაქი ქუთაისი 27 თებერვალი 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის
14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის №61 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №263 – №266 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის

№ 146 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგის-ტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
263	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №49-ის სახრეთ-აღმოსავლეთით	189	03.04.21.254	135.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
264	შენობა–ნაგებობა	ქალაქი ქუთაისი, ჩხობაძის ქუჩა №2-ის მიმდებარედ (ყოფილი ჩკალოვის ქუჩა №1)	მიწა 1793 კვ.მ. შენობა–ნაგებობა №1 – 673,81 კვ.მ.	03.01.21.481	1344.0 ლარი დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი მეორადი მასალების საწყისი საპრივატიზებო საფასური, დემონტაჟის ხარჯების გამოკლებით	პირობით: შენობა-ნაგებობის დაშლა – გატანის შემდგომ, მყიდველი ვალდებულია განახორციელოს ტერიტორიის გასუფთავება საამშენებლო ნარჩენებისაგან	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
265	შენობა–ნაგებობა	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №2-ის მიმდებარედ (ყოფილი ჩკალოვის ქუჩა №1)	მიწა 72 კვ.მ. შენობა–ნაგებობა №1 – №2 (დანგრეული)	03.05.27.291	0.0 ლარი დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი მეორადი მასალების საწყისი საპრივატიზებო საფასური, დემონტაჟის ხარჯების გამოკლებით	პირობით: შენობა-ნაგებობის დაშლა – გატანის შემდგომ, მყიდველი ვალდებულია განახორციელოს ტერიტორიის გასუფთავება საამშენებლო ნარჩენებისაგან	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
266	მოძრავი ქონება ავტოსატრანსპორტო საშუალებები (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი თან ერთვის)	–	11 ერთეული	–	41700	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი

№	ა/მანქანის მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	საიდენტიფიკაციო კოდი
1.	OPEL ASTRA G	1999	DFD-635	WOLOTGF48Y6049025
2.	VOLSVAGEN PASSAT	2007	BP-933-PB	WVWAK73C97P152664
3.	MERSEDES-BENC E320	2000	QJQ-358	WDBJF65J7YB130329
4.	TOYOTA CARINA	1991	LIS-799	JTIEAT17100188282
5.	HYUNDAI ACCENT 1.4	2006	QET-330	NLHCN41AP7Z018805
6.	OPEL ASTRA	1995	YIY-626	WOL000051S2671488
7.	FORD FOCUS 1.6	2005	OBO-227	WF0TD34L46VR85001
8.	AUDI A4	1996	GGT-255	WAUZZZ8DZTA139490
9.	OPEL ASTRA	1992	ZES-083	WOL000059P2531693
10.	TOYOTA COROLA 1.4XLI	2007	OBO-233	JTNBM58E502004555
11.	VOLSVAGEN PASAT	2005	MM-175-FF	WVWAK93C26E054856

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი ირაკლი შენგელია